Vaziani
Martkopi vilage,
Gardabani disttrict
Georgia

შპს „ზდ ნავთობის კომპანია“

Марткопи,Вазиани
Гардабанский р-он,
Грузия

E-mail. zdoilcompany@gmail.com ID 404440501
საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. მარტყოფი, ვაზიანი

18.08.2020
№46-08/20

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზდ ნავთობის კომპანია"-ს (ს/კ 404440501) დირექტორის

ბ-ნი ბადრი ბუთხუზის

№13077
18.08.2020
2/Cb

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზდ ნავთობის კომპანია"-ს გარდაბნის რაიონი სოფელი მარტყოფში, ვაზიანი, ს/კ 81.10.22.409,** გააჩნია **22600 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხანა** (GPS კოორდინატში X - 503235.0; Y – 4616763.0).

აღნიშნული საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებული იქნება 750 მეტრით.

აღნიშნულ საწარმოზე, 2014 წლის 04 ივნისის #32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, 2020 წლის 27 ივლისს # 2-656 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

აღნიშნული საწრმოში დაიგეგმა სარეზერვუარო პარკის გაზრდა, კერძოდ საწარმოს ტერიტორიის მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 81.10.22.390 და 81.10.22.547), რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, დაიგეგმა დამატებით სარეზერვუარო პარკების მოწყობა, ასევე რეკონსტრუქცია უტარდება მე-2 სარეზერვუარო პარკს, ასევე მონტაჟდება სახანძრო წყლის რეზერვუარი და სახანძრო სატუმბო: რომლებშიც განთავსებული იქნება შემდეგი მოცულობისა და ნავთობპროდუქტების სახეობების რეზერვუარები:

1. მე-3 სარეზერვუარო პარკში ეწყობა 1ცალი 5000მ³ მაზუთის რეზერვუარი, 1ცალი 3000მ³ მოცულობის ნაფტას რეზერვუარი და 2 ცალი, თითეული 1000მ³ მოცულობის დიზელის საწვავის რეზერვუარები;
2. მე-4 სარეზერვუარო პარკში ეწყობა 1ცალი 5000მ³ და 1 ცალი 2000მ³ მოცულობის ნედლი ნავთობის რეზერვუარები;
3. მე-2 სარეზერვუარო პარკთან დემონტაჟი ხდება წყლის რეზერვუარის და მის ნაცვლად ეწყობა 500მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების (დიზელის საწვავის) რეზერვუარი;

4. მე-3 სარეზერვუარო პარკთან ეწყობა ნავთობპროდუქტების მიმღებ-გამცემი სატუმბო სადგური;

დამატებით მონტაჟდება 2000m^3 მოცულობის სახანძრო წყლის რეზერვუარი და სახანძრო წყლის სატუმბო;

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ზდ ნავთობის კომპანია"-ს სარეზერვუარო პარკით ნავთობგადამუშავებელი მინი ქარხნის ექსპლოატაციის პირობების ცვლილებასთან** დაკავშირებით (სარეზერვუარო პარკის მოცულობის გაზრდა) წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით ბადრი ბუთხუზი

დირექტორი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;